

პრეზიდენტ თომას ს. მონსონის მიერ

მადლიერების ღვთიური ნობათი

გული ხდება მადლიერი, როდესაც ჩვენ ვამჟღავნებთ მადლიერებას ჩვენი ზეციერი მამისა და ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანების მიმართ ყველაფრისათვის, რაც მათ შემოაქვთ ჩვენს ცხოვრებაში.

ეს იყო შესანიშნავი სხდომა. როდესაც მე დავინიშნე ეკლესიის პრეზიდენტად, მე ვთქვი: „მე ჩემს თავს ერთ დავალებას მივცემ: ვიქნები ტაბერნაკალური გუნდის მრჩეველი“. მე ძალზედ ვამაყობ ჩემი გუნდით!

დედამ ერთხელ მითხრა: „თომი, მე ძალიან ვამაყობ ყოველივე იმით, რაც შენ გაგიკეთებია. თუმცაღა ერთი შენიშვნა მაქვს: ფორტეპიანოს გაკვეთილებისათვის არ უნდა დაგენებებინა თავი.“

ასე რომ მე მივედი ფორტეპიანოსთან და შევასრულე მისთვის ერთი ნაწარმოები: „აბა, წავედით დაბადების დღეზე.“[1] შემდეგ მე მას ვეამბორე შუბლზე, და ის კი ჩამეხუტა.

მე ვფიქრობ მასზე. მე ვფიქრობ მამაჩემზე. მე ვფიქრობ ეკლესიის ყველა გენერალურ ხელმძღვანელზე, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინეს ჩემზე, და აგრეთვე სხვებზეც, იმ 85 ქვრივის ჩათვლით, რომელთა ოჯახებშიც მივსულვარ დასახმარებლად და ხან ქათამი მიმიტანია მათთვის და ხან კი სახარჯი ფული დამიტოვებია.

ერთხელ გვიან ღამით ე რ თ–ე რთ ასეთ ქვრივთან მივედი. შუაღამე იყო, მე მოხუცებულთა სახლში მივედი. მიმღებში მითხრეს: „დარწმუნებული ვარ, რომ მას სძინავს, მაგრამ მან გამაფრთხილა, რომ გამეღვიძებინა, რადგან მან სთქვა: „მე ვიცი, რომ იგი მოვა.“

მე ხელი მოვკიდე მას, მან კი სახელით მომმართა. მას არ სძინებია. ჩემი ხელი ტუჩებზე მიიკრა და თქვა: „მე ვიცოდი, რომ თქვენ მოხვიდოდით“. აბა როგორ არ მივსულიყავი მასთან?!

შესანიშნავი მუსიკაც ასე მოქმედებს ჩემზე.

ჩემო საყვარელო ძმებო და დებო, ჩვენ მოვისმინეთ ჭეშმარიტების, იმედისა და სიყვარულის შთაგონებული გზავნილები. ჩვენი აზრები მიმართული იყო იმისკენ, ვინც გამოისყიდა ჩვენი ცოდვები, ვინც დაგვანახა ცხოვრებისა და ლოცვის წესები, და საკუთარი ქმედებებით გვიჩვენა მსახურებიდან გამომდინარე ლოცვა-კურთხევები, დიახ, თვით უფალმა და მაცხოვარმა, იესო ქრისტემ.

ლუკას სახარებაში, მე-17 თავში წერია:

„ერთხელ იერუსალიმს მიმავალმა სამარიასა და გალილეას შორს გაიარა.

ერთ სოფელში, რომ შედიოდა, ათი კეთროვანი კაცი შემოხვდა, რომლებიც მოშორებით გაჩერდნენ.

ხმა აღიმაღლეს და ამბობდნენ: შეგვიწყალე, იესო მოძღვარო!

ისინი რომ დაინახა, უთხრა: „წადით, ეჩვენეთ მღვდლებს.“ როგორც კი წავიდნენ, განიწმინდნენ.

ერთი მათგანი, რომ დაინახა

განვიკურნეო, მობრუნდა და მაღალი ხმით ადიდებდა ღმერთს.

პირქვე დაემხო მის ფერხთით და მადლი შესწირა. ის კაცი სამარიელი იყო.

მიუგო იესომ და თქვა: „ნუთუ ათივენი არ განიწმინდნენ? ცხრა სადღა არის?“

როგორ მოხდა, რომ უცხოტომელის გარდა, არავინ დაბრუნდა ღვთის სადიდებლად?

„უთხრა მას: ადექი და წადი! შენმა რწმენამ გიხსნა.“[2]

ღვთაებრივი ჩარევით კეთროვანნი გადაურჩნენ სასტიკ, დროში გაწელილ სიკვდილს და მიიღეს ახალი სიცოცხლე. ერთის მიერ უფლის მიმართ გამოხატულმა მადლიერებამ, დაიმსახურა მოძღვარისაგან კურთხევა და დანარჩენი ცხრის უმადურობამ,- მისი იმედის გაცრუება.

ჩემო დებო და ძმებო, გვახსოვს კი მადლიერების გამოხატვა ყოველი იმ დალოცვის მიმართ, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ? გულწრფელი მადლიერების გამოხატვა არა მხოლოდ ჩვენი დალოცვების გამოცნობაში გვეხმარება, არამედ ზეცის კარსაც გვიხსნის და ღვთის სიყვარულის შეგრძნებაში გვეხმარება.[3]

ჩემმა უსაყვარლესმა მეგობარმა, პრეზიდენტმა გორდონ ბ. ჰინკლიმ ბრძანა: „როდესაც თქვენ ამ ქვეყანაზე მადლიერების გრძნობით დადიხართ, თქვენ არა ხართ არცა ამპარტავანნი, არცა ზედმეტად თავდაჯერებულნი და არც საკუთარ თავზე ზედმეტად შეყვარებულნი, პირიქით, დადიხართ მადლიერების სულით, რომელიც შეგფერით და დაგილოცავთ ცხოვრებას.

ბიბლიაში, მათეს სახარებაში, ჩვენ მადლიერების კიდევ ერთი მაგალითი გაგვაჩნია, ამ ჯერად თვით უფლის მიერ გამოხატული. უდაბნოში მისი სამდღიანი მოგზაურობის დროს, მას 4000 ადამიანი მოჰყვებოდა. მას შეებრალა ისინი, რადგან მათ სამი დღის განმავლობაში არაფერი არ უჭამიათ. მისი მოწაფენი კითხულობდნენ: „უდაბნოში სადა გვაქვს იმდენი პური, რომ ამდენი ხალხი გავაძღოთ?“ როგორც მრავალი ჩვენთაგანი, ისინი მხოლოდ იმას ხედავდნენ, რაც აკლდათ.

„უთხრა მათ იესომ: „რამდენი პური გაქვთ?“ მათ უთხრეს: „შვიდი და მცირეოდენი თევზი.“

და უბრძანა ხალხს, რომ მიწაზე დამსხდარიყვნენ.

აიღო ის შვიდი პური და თევზები, *მადლი შესწირა,* დატეხა და დაურიგა თავის მოწაფეებს, მოწაფეებმა კი — ხალხს.“

მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ მაცხოვარმა მადლი შესწირა და ამას სასწაული მოჰყვა: „ყველამ ჭამა და გაძღა. ნარჩენი ნატეხებისაგან კი შვიდი სავსე კალათა აკრიფეს.“[4]

ჩვენ ყველას გვქონია შემთხვევები, როდესაც ჩვენ ყურადღება ლოცვა-კურთხევების ნაცვლად იმაზე გვქონდა გამახვილებული, რაც გვაკლდა. ბერძენმა ფილოსოფოსმა ეპიქტეტემ თქვა: „ბრძენი ის კი არ არის, ვინც წუხს იმის გამო, რაც მას აკლია, არამედ ის, ვისაც უხარია ის, რაც მას ხელთ აქვს.“[5]

მადლიერება ღვთაებრივი პრინციპია. უფალმა წინასწარმეტყველი იოსებ სმითის გამოცხადების მეშვეობით განაცხადა:

მადლი მიაგეთ უფალს ყველაფრისათვის. . . .

ადამიანი არაფრით ისე არ შეუარაცხყოფს ღმერთს, და არავის მიმართ ისე არ ღვივდება გამჩენის რისხვა, როგორც მათ მიმართ, ვისაც არ უნდათ ყველაფერში მისი ხელის აღიარება.[6]

მორმონის წიგნში ჩვენთვის ნათქვამია, რომ ჩვენ ყოველდღიურად მადლიერების გრძნობით უნდა ვიცხოვროთ ყოველი იმ შეწყალებისთვის და დალოცვისთვის, რაც ღმერთმა გვიბოძა.[7]

ჩვენი გარემოების მიუხედავად, ყოველ ჩვენთაგანს აქვს უამრავი რამ, რისთვისაც მადლიერნი უნდა ვიყოთ თუკი ერთი წამით გავირინდებით და დავფიქრდებით ჩვენს დალოცვებზე.

დედამიწაზე ცხოვრებისათვის ეს დრო შესანიშნავია. იმ დროს, როდესაც დღეს ცხოვრებაში ესოდენ მრავალი რამ, არის გაუკუღმართებული, უამრავი რამ, მაინც სწორია და კარგი. არსებობენ წარმატებული ქორწინებები, არსებობენ მშობლები, რომლებსაც უყვართ საკუთარი შვილები და მსხვერპლშეწირვაზე მიდიან მათთვის, არსებობენ ისეთი მეგობრები, რომლებიც ჩვენზე ზრუნავენ და გვეხმარებიან, ასევე არსებობენ მასწავლებლები, რომლებიც გვასწავლიან. ჩვენი ცხოვრება აურაცხელი საშუალებებითაა დალოცვილი.

ჩვენ შეგვიძლია ავამაღლოთ საკუთარი თავი ისევე, როგორც სხვები, მაშინ, როდესაც უარს

ვამბობთ, უარყოფით აზრთა სივრცეში ყოფნაზე და გულში ვანვითარებთ მადლიერებას. თუ უმადურობას მივაკუთვნებთ სერიოზულ ცოდვათა რიცხვს, მაშინ მადლიერება ადგილს დაიკავებს უკეთილშობილეს ღირსებათა შორის. ვიღაცამ თქვა, „მადლიერება არა მხოლოდ უდიდესი ღირსება, არამედ ყოვლის მშობელია.“[8]

როგორ შეგვიძლია განვავითაროთ ჩვენს გულებში მადლიერება? პრეზიდენტმა ჯოზეფ ფ. სმითმა, ეკლესიის მეექვსე პრეზიდენტმა, მოგვიმზადა პასუხი. მან ბრძანა: „მადლიერი ადამიანი იმდენ რაიმეს ხედავს, რისთვისაც იგი მადლობელია, რომ სიკეთე მის თვალში გადაწონის ბოროტებას. სიყვარული გადაფარავს ეჭვიანობას და სინათლე მისი ცხოვრებიდან განაძევებს ბნელს.“ მან გააგრძელა: „ამპარტავნება ანადგურებს მადლიერებას და ანაცვლებს მას ეგოიზმით. რამდენად უფრო ბედნიერნი ვართ ჩვენ, მადლიერისა და მოსიყვარულე სულის გვერდში, და რაოდენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა განვავითაროთ ლოცვით აღვსილ ცხოვრებაში ღმრთისა და ყოველი ადამიანის მიმართ მადლიერების გრძნობა!“[9]

პრეზიდენტი სმითი გვეუბნება ჩვენ, რომ ლოცვით აღვსილი ცხოვრება არის მადლიერების მოპოვების გასაღები.

მატერიალური საკუთრება გვეხმარება კი ბედნიერებასა და მადლიერებაში? შესაძლოა მხოლოდ მცირე ხნით. მაგრამ ის, რაც გვანიჭებს ღრმა და ხანგრძლივ ბედნიერებასა და მადლიერებას არის ის, რასაც ვერ შეიძენ ფულით: ოჯახი, სახარება, კარგი მეგობრები, ჯანმრთელობა, ნიჭიერებანი, სიყვარული, რომელსაც ვღებულობთ იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ჩვენს ირგვლივ იმყოფებიან. სამწუხაროდ, ჩვენ ამას ხშირად ვღებულობთ, როგორც ბუნებრივ აუცილებლობას.

ინგლისელმა მწერალმა ალდოუ ჰუქსლიმ დაწერა; „ადამიანთა უმეტესობას გააჩნიათ თითქმის უსაზღვრო ნიჭი მიიღონ ყველაფერი არსებული, როგორც ბუნებრივი აუცილებლობა.“[10]

ჩვენ ხშირად ვღებულობთ, როგორც ბუნებრივად აუცილებელს იმ ადამიანებს, ვინც ყველაზე მეტად იმსახურებს ჩვენს მადლიერებას. მოდით ძალიან დიდხანს ნუ დაველოდებით იმ დღეს, როდესაც ჩვენ მოვისურვებთ, მათ მიმართ ჩვენი მადლიერების გრძნობის გამოხატვას. ერთ-ერთმა ადამიანმა, როდესაც იგი საუბრობდა, აწ გარდაცვლილ, თავის საყვარელ ადამიანებზე, ასე გამოხატა თავისი სინანული: „მე მახსოვს ის ბედნიერი დღეები, და როგორ ვნანობ, რომ ასე იშვიათად გამოვხატავდი მადლიერებას, რომელსაც ისინი იმსახურებდნენ, ვიდრე ცოცხლები იყვნენ.“[11]

ახლობლის დაკარგვას უეჭველად შემოაქვს მწუხარება ჩვენს გულში. მოდით შევამციროთ ასეთი გრძნობები რამდენადაც ამას შევძლებთ, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავნი იმით, რომ რაც შეიძლება ხშირად გამოვხატავთ მათ მიმართ ჩვენს მადლიერებასა და სიყვარულს. ჩვენ არასდროს არ ვიცით, თუ როდის იქნება გვიან.

გული ხდება მადლიერი, როდესაც ჩვენ ვამჟღავნებთ მადლიერებას ჩვენი ზეციერი მამისა და ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანების მიმართ ყველაფრისათვის, რაც მათ შემოაქვთ ჩვენს ცხოვრებაში. ეს მოითხოვს გააზრებულ ძალისხმევას, ყოველ შემთხვევაში იმ წუთამდე, ვიდრე ჩვენ დანამდვილებით არ ვისწავლით იმას, თუ რა არის მადლიერება და არ განვავითარებთ მას. ჩვენ ხშირად ვგრძნობთ მადლიერებას და კიდევაც *ვაპირებთ* მის გამოხატვას, მაგრამ გვავიწყდება ან საამისოდ ვერ ვპოულობთ შესაფერის დროს. ვიღაცამ თქვა, რომ „როდესაც მადლიერებას ვგრძნობთ და არ გამოვხატავთ, ეს იგივეა, რომ შეფუთო საჩუქარი, და არ გააჩუქო იგი.“[12]

როდესაც ჩვენ ცხოვრებაში წავაწყდებით სიძნელეებსა და პრობლემებს, ზოგჯერ ძნელი ხდება გაიხსენო შენი დალოცვები. მაგრამ, თუ კი კარგად დავფიქრდებით და ღრმად ჩავწვდებით, ჩვენ შევძლებთ ვიგრძნოთ და ამოვიცნოთ ის, თუ რამდენი რამ მოგვენიჭა ჩვენ.

მე მინდა გაგიზიაროთ ერთი ამბავი ოჯახზე, რომელიც იდგა რა სერიოზულ სიძნელეთა წინაშე, და მაინც მოახერხა დალოცვების მიღება. ეს ამბავი მე მრავალი წლის წინათ წავიკითხე და შემოვინახე იმ ღირებული აზრის გამო, რომელსაც იგი გამოხატავს. ეს, გორდონ გრინის მიერ 50 წლის მეტი ხნის წინ დაწერილი მოთხრობა, ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალში იქნა გამოქვეყნებული.

გორდონი გვიყვება, თუ როგორ იზრდებოდა კანადის ფერმაზე თავის და-ძმებთან ერთად, და როგორ მირბოდნენ ისინი სკოლიდან სახლში, ამ დროს კი სხვა ბავშვები თამაშობდნენ ბურთს ან საცურაოდ მიდიოდნენ. მაგრამ მათ მამას ჰქონდა უნარი შთაეგონებინა შვილებისთვის, რომ მათი შრომა ღირებულებას წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით ჩანდა მოსავლის აღების შემდეგ, როდესაც ოჯახი მადლიერების დღესასწაულს ზეიმობდა, რადგან ამ დღეს მამა მათ დიად საჩუქარს ჩუქნიდა. იგი ატარებდა ყოველივე იმის აღწერას, რაც თუ რამ გააჩნდათ მათ.

მადლიერების დღის დილით იგი ჩაიყვანდა მათ სარდაფში, სადაც კოდებით ვაშლი, კალათებით ჭარხალი, ქვიშაში ჩაფლული სტაფილო, კარტოფილით სავსე ტომრების გორები და ბარდა, პარკი ლობიო,თაროებზე დალაგებული მურაბები, მარწყვი და სხვა კონსერვირებული ჭირნახული ელაგა თაროებზე. იგი ბავშვებს ყველაფერს გულმოდგინედ ათვლევინებდა. შემდეგ ისინი თავლაში აფასებდნენ, თუ რამდენი თივა, ბეღელში კი მარცვლეულის რამდენი ტონა ჰქონდათ. ისინი ითვლიდნენ ძროხებს, ღორებს, ქათმებს, ინდაურებსა და ბატებს. მამა ეუბნებოდა მათ, რომ უნდოდა დაენახა, თუ რამდენად კარგად იყვნენ ისინი მომზადებულნი, მაგრამ მათ იცოდნენ, რომ სინამდვილეში მამას უნდოდა ეჩვენებინა შვილებისათვის, თუ რაოდენ უხვად დალოცა გამჩენმა ისინი და დაუფასა მათ შრომაში გატარებული დღეები. ბოლოს, როდესაც ისინი მაგიდას მიუსხდებოდნენ დედის მიერ გამლილ სუფრას, ისინი მართლაც რეალურად გძნობდნენ დალოცვებს.

მაგრამ გორდონი აღნიშნავდა, რომ ყველაზე დიდი მადლიერების გრძნობა, რომელიც მას ახსოვს, განიცადა იმ წელს, როდესაც მათ სამადლობელო თითქოს და არაფერი არ ჰქონდათ.

წელიწადი კარგად დაიწყო: მათ დარჩათ თივა, უამრავი სათესი, ოთხი ღორის ნამატი, და ამას გარდა, მამამ ცოტა ფულიც კი გადაინახა იმისთვის, რომ ოდესმე ეყიდა თივის დასატვირთი მანქანა, რომელზედაც ასე ოცნებობდა მრავალი ფერმერი. ეს ის წელი იყო, როდესაც მათ ქალაქში ელექტროობა გაიყვანეს, თუმცა კი მათ ოჯახს ამის საშუალება არ ჰქონდა.

ერთხელ, როდესაც გორდონის დედა სარეცხს რეცხავდა, მამა შემოვიდა და სთხოვა დედას დაესვენა ან ქსოვაზე გადასულიყო, თვითონ კი სარეცხს მოკიდა ხელი. მან თქვა: „შენ რეცხვას უფრო მეტ ხანს ანდომებ, ვიდრე ძილს. როგორ ფიქრობ, ღირს გაჭირვება, რათა დენი შემოვიყვანოთ?“ მიუხედავად იმისა, რომ დედას ეს ამბავი გაუხარდა, ცრემლი მაინც გადმოაგდო, რადგან თივის საზიდზე უარი უნდა ეთქვათ.

ასე რომ იმ წელს მათ დენი გამოუყვანეს. ოჯახმა სარეცხი მანქანა შეიძინა, მართალია არც თუ ისეთი თანამედროვე, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში იგი თავისით მუშაობდა, და ჭერზე ყველგან ნათურები ეკიდა. საჭირო აღარ იყო ლამფების ზეთით ავსება, პატრუქები, რომლებსაც შეკრეჭა ჭირდებოდა, არც ჭვარტლი იყო მოსაცილებელი. ლამპები ჩუმად გადაბინავდნენ სხვენზე.

ფერმაზე დენის მოსვლა თითქოს ის ბოლო სიკეთე იყო, რომელიც მათ იმ წელს დაინახეს. როგორც კი ნათესები ამოიწვერა, წვიმები დაიწყო. როდესაც ბოლოსდაბოლოს წვიმებმა გადაიღო, არც ერთი მცენარე ცოცხალი აღარ იყო. მათ ისევ დათესეს, მაგრამ ახალმა წვიმებმა ნათესები კვლავ მიწაზე დააწვინა. კარტოფილი მიწაშივე დალპა. მათ რამოდენიმე ძროხა, ყველა ღორი და ყოველი საკლავი გაყიდეს ძალიან დაბალ ფასებში, რადგან გაჭირვების გამო ყველა იმავეს აკეთებდა. მათი იმ წლის მოსავალი მხოლოდ თალგამი იყო, რომელიც სასწაულად გადაურჩა ამინდს, და ისიც ძალიან მცირე რაოდენობით.

შემდეგ ისევ მადლიერების დღე დადგა, დედამ თქვა: „იქნებ ჯობდა, რომ ამ წელს დაგვევიწყა ეს დღესასწაული? ჩვენ ხომ ერთი ბატიც კი არ შემოგვრჩენია.“

მაგრამ მადლიერების დღის დილას, გორდონის მამა კურდღლით ხელში მოვიდა და დედას სთხოვა მოემზადებინა იგი. დედა ბუზღუნით შეუდგა საქმეს, ამბობდა, რომ ამ ბებერი კურდღლის მოხარშვას დიდი დრო დასჭირდებოდა. როდესაც კურდღელი ბოლოსდაბოლოს მაგიდაზე აღმოჩნდა გადარჩენილ თალგამთან, ბავშვებმა

ჭამაზე უარი თქვეს. დედამ ტირილი დაიწყო, მამამ კი უცნაური რამ გააკეთა. იგი სხვენში ავიდა, ზეთის ლამფა ჩამოიტანა, მაგიდაზე დადგა და აანთო. მან შვილებს სთხოვა სინათლე ჩაექროთ. როდესაც ისინი ლამფის შუქის ანაბარა დარჩნენ, მათ ვერ დაეჯერებინათ, რომ მანამდე ასეთ სიბნელეში ცხოვრობდნენ. მათ უკვირდათ ის, თუ როგორ შეეძლოთ რაიმის გარჩევა ელექტროობის გარეშე.

საჭმელი დალოცეს და ყველამ მიირთვა. სადილის შემდეგ ყველა ჩუმად იჯდა. გორდონმა დაწერა:

„ძველი ლამფის ბჟუტურა შუქზე ჩვენ თვალები აგვეხილა. . . .

ეს შესანიშნავი სადილი იყო. კურდღელს ინდაურის გემო ჰქონდა, თალგამი კი არასოდეს არ ყოფილა ასეთი ნაზი და გემრიელი. . . .

. . . გაჭირვების მიუხედავად, ჩვენს ოჯახს ძალიან მდიდრად ვთვლიდით.“[13]

ჩემო ძმებო და დებო, მადლიერების გამოხატვა კეთილი და ღირსეული საქმეა, მადლიერების ამოქმედება სულგრძელობაა და კითილშობილება, მაგრამ გულში მადლიერების გრძნობის ტარება იგივეა, რაც ზეცის ხელით ხლება.

დასასრულს, მე ვლოცულობ იმას, რომ ყველაფერთან ერთად, რისთვისაც ჩვენ მადლიერნი ვართ, ჩვენ უნდა ავსახავდეთ მადლიერებას ჩვენი უფლისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს მიმართ. მისი დიადი სახარება გვაწვდის პასუხს ცხოვრების უდიდეს კითხვებზე: საიდან მოვედით? რატომ ვართ აქ? სად წავლენ ჩვენი სულები გარდაცვა ლ ე ბ ი ს შემდეგ? ეს არის სახარება, რომელსაც სიბნელეში მყოფთათვის ღვთაებრივი ჭეშმარიტების სინათლე მოაქვს.

მან გვასწავლა, თუ როგორ უნდა ვილოცოთ. მან გვასწავლა ცხოვრების წესი. მან გვასწავლა ის, თუ როგორ წავიდეთ ამ ქვეყნიდან. მისი ცხოვრება სიყვარულის მემკვიდრეობაა ჩვენთვის. მორჩენილნი, ფეხზე დაყენებული გათელილნი, ცოდვილნი, რომელნიც გადაარჩინა.

საბოლოოდ კი იგი მარტო დარჩა. ზოგი მოციქული დაეჭვდა, ერთმა უღალატა. რომაელმა ჯარისკაცებმა შუბით გვერდი განუგმირეს, განრისხებულმა ბრბომ მას სიცოცხლე აართვა. და მაინც ისმის გოლგოთიდან მისი მანუგეშებელი სიტყვები: „მამაო, მიუტევე ამათ, რადგან არ იციან, რას აკეთებენ.“[14]

ვინ იყო ეს „გატანჯული და დასნეულებული“?[15] „ვინ არის ეს მეფე დიდებისა,“[16] ეს უფალთ უფალი? იგი ჩვენი მოძღვარია. იგი ჩვენი მაცხოვარია. იგი შვილია ღვთის. იგი ჩვენი ხსნის ავტორია. იგი გვეძახის: „მომყევით მე.“[17] იგი გვასწავლის „წადი და შენც ასევე მოიქეცი.“[18] იგი გვეუბნება: „ჩემი მცნებანი დაიცავით.“[19]

მოდით მივყვეთ მას. მოდით მივბაძოთ მის მაგალითს. მოდით დავემორჩილოთ მის სიტყვებს. ასეთი საქციელით, ჩვენ მადლიერების ღვთიურ ნობათს ვუბოძებთ მას.

ჩემი გულწრფელი და გულითადი ლოცვაა, რომ ჩვენ, თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრებაში, ავსახოთ მადლიერების ეს სასწაული სიკეთე. დაე გავაჯერეთ მისით ჩვენი სულები, აწ და მარადის. იესო ქრისტეს, ჩვენი მაცხოვრის წმინდა სახელით, ამინ!

მენიშვნები

1. John Thompson, “Birthday Party,” *Teaching Little Fingers to Play* (1936), გვ.8.
2. ლუკა 17:11–19.
3. *Teachings of Gordon B. Hinckley* (1997), გვ.250.
4. იხილეთ მათე 15:32–38.
5. The Discourses of Epictetus; *ენქერიდიონითა და ნაწყვეტებით,* გადათარგმნილი ჯორჯ ლონგის მიერ (1888), გვ.429.
6. მოძღვრება და აღთქმები 59:7, 21.
7. ალმა 34:38.
8. Cicero, *A New Dictionary of Quotations on Historical Principles,* ჰ. ლ. მენკენის ნაკრებიდან (1942), გვ.491.
9. ჯოზეფ ფ. სმითი, *Gospel Doctrine,* მე-5 გამოცემა (1939), გვ.263.
10. ალდო ჰუქსლი, *Themes and Variations* (1954), გვ.66.
11. უილიამ ჰ. დეივის, *The Autobiography of a Super-Tramp* (1908), გვ.4.
12. William Arthur Ward, Allen Klein-ის ნაკრებიდან, *Change Your Life!* (2010), გვ.15.
13. ადაპტირებული: H. Gordon Green, “The Thanksgiving I Don’t Forget,” *Reader’s Digest,* ნოემბერი 1956, გვ.69–71.
14. ლუკა 23:34.
15. ესაია 53:3.
16. ფსალმუნი 23:8.
17. მათე 4:19.
18. ლუკა 10:37.
19. იოანე 14:15.

© 2010 Intellectual Reserve, Inc.-ს მიერ ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი *First Presidency Message, November 2010.* Georgian. 09371 131

სადღეისო სწავლება

მეოთხე კვირის მელქიცედეკის სამღვდელოებისა და მოწყალების საზოგადოების გაკვეთილები მიეძღვნება „სადღეისო სწავლებას“. ყოველი გაკვეთილი შეიძლება მომზადებულ იქნას ერთი ან რამოდენიმე ბოლო გენერალურ კონფერენციაზე წარმოდგენილ გამოსვლათა გამოყენებით. პალოსა და ოლქის პრეზიდენტები ირჩევენ იმას, თუ რომელი გამოსვლა იყოს გამოყენებული, ან არა და ამ საქმეს ისინი ავალებენ ეპისკოპოსებსა და მრევლის პრეზიდენტებს. ხელმძღვანელობამ ხაზგასმით უნდა აღნიშნოს ის, რომ მელქიცედეკის მღვდლობის მღვდელთმთავრებმა და მოწყალების საზოგადოების დებმა, ერთი და იგივე გამოსვლები შეისწავლონ ერთსა და იგივე კვირას.

მათ, ვინც მეოთხე კვირის გაკვეთილებს ესწრება, უნდა შეისწავლონ და გაკვეთილზე მოიტანონ, ჟურნალებში გამოქვეყნებული ბოლო კონფერენციის მასალები.

რჩევები კონფერენციის მასალებით გაკვეთილების მოსამზადებლად

ილოცეთ მასზედ, რომ თქვენი კონფერენციების მასალების შესწავლისა და გადმოცემის დროს, სული წმინდა თქვენთან იმყოფებოდეს. შესაძლოა გაგიჩნდეთ ცდუნება მოამზადოთ გაკვეთილი სხვა მასალების გამოყენებით, მაგრამ კონფერენციის გამოსვლები მოწონებულია სასწავლო პროგრამით. თქვენი დავალებაა დაეხმაროთ სხვებს ისწავლონ სახარება და იცხოვრონ მისი პრინციპების მიხედვით ისე, როგორც ეს გვასწავლეს ეკლესიის ბოლო გენერალურ კონფერენციაზე.

განიხილეთ გამოსვლები, ეძიეთ მათში ის პრინციპები და სწავლებანი, რომლებიც აკმაყოფილებენ მსმენელთა მოთხოვნილებებს. მოიძიეთ მოთხრობები, წმინდა წერილებზე მითითებანი და გამოსვლებიდან ის მტკიცებულებანი, რომლებიც დაგეხმარებათ ამ ჭეშმარიტებების სწავლებაში.

დასახეთ სწავლებისა და პრინციპების გადაცემის გეგმა. გეგმა უნდა შეიცავდეს შეკითხვებს, რომლებიც დაეხმარება მსმენელებს:

- გამოსვლებში ეძიონ პრინციპები და სწავლებანი.
- იფიქრონ მათ მნიშვნელობაზე.
- გაუზიარონ სხვებს იდეები, გამოცდილება და დამოწმებანი.
- მოარგონ ეს პრინციპები და სწავლებები მათ ცხოვრებას.

თვეები	მეოთხე კვირის გაკვეთილის მასალა
ნოემბერი 2010–აპრილი 2011	2010წ. ნოემბერს დაბეჭდილი გამოსვლები, *ლიაჰონა**
მაისი 2011–ოქტომბერი 2011	2011წ. მაისში დაბეჭდილი გამოსვლები *ლიაჰონა**

* *ეს გამოსვლები ხელმისაწვდომია უამრავ ენაზე conference.lds.org.*



პრეზიდენტ დიტერ ფ. უხთდორფის მიერ
პირველ პრეზიდენტთა მეორე მრჩეველი

იქიდან, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია

თუ ცხოვრება თავისი აჩქარებული ტემპითა და მრავალი სტრესით არ გვაძლევს სიხარულის განცდის საშუალებას, ალბათ დროა გადავიტანოთ ჩვენი ყურადღება ყოველივე იმაზე, რასაც უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს.

Აღსანიშნავია ის, თუ რამდენი რამ შეგვიძლია შევიცნოთ ცხოვრების შესახებ ბუნების შესწავლის მეშვეობით. მაგალითად, მეცნიერებს შეუძლიათ შეხედონ ხის წლიურ წრეებს და ამის მიხედვით ივარაუდონ ათასობით წლის წინაც კი არსებული კლიმატი და მათი ზრდის პირობები. ერთ-ერთი რამ, რასაც ვსწავლობთ ხეების ზრდის დაკვირვებით არის ის, რომ იმ დროს, როდესაც ზრდის პირობები იდეალურია, ხეები იზრდებიან ნორმალური ტემპით.

მაგრამ, როდესაც იმ სეზონებში, როცა ზრდის პირობები იდეალური არაა, მაშინ ხეები ანელებენ ზრდას და მთელს ძალას უთმობენ მათი გადარჩენისათვის აუცილებელ ელემენტებს.

ამ შემთხვევაში ზოგიერთი თქვენთაგანი ალბათ გაიფიქრებს: ყოველივე ეს კარგია, მაგრამ რა კავშირი აქვს ამას თვითმფრინავებთან? ნება მომეცით განვმარტო.

ოდესმე გამოგიცდიათ თვითმფრინავის ტურბულენცია? ტურბულენციის ყველაზე ხშირი მიზეზი ჰაერის მასის მოძრაობის მიმართულებათა უეცარი ცვლილებ ა ა, რაც თვითმფრინავის ცხვირის აწევ-დაწევას, აქეთ-იქით რხევას და ფრთების ახრა-დახრას იწვევს, ასე რომ შესაძლებელია თვითფრინავი თავდაყირა დატრიალდეს ან უკუ მიმართულებითაც კი ამოძრავდეს. მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავები დღეს ისე არიან აგებული, რომ უძლებენ იმაზე ბევრად მეტ ტურბულენციას, ვიდრე შესაძლებელია მოხდეს ჩვეულებრივი ფრენის დროს, მაინც შესაძლებელია მგზავრებისათვის ეს მეტად სანერვიულო გახდეს.

თქვენი აზრით, რას აკეთებს პილოტი ტურბულენციის დროს? მოწაფე-პილოტმა შესაძლოა იფიქროს, რომ სიჩქარის მომატების სტრატეგია დაეხმარება მას ტურბულენციის ზონიდან უფრო სწრაფ გამოსვლაში. მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება შესაძლოა მცდარი აღმოჩნდეს. პროფესიონალმა პილოტებმა იციან, რომ არსებობს ტურბულენციაში შესვლის ოპტიმალური სიჩქარე, რომელიც ამცირებს ტურბულენტობის უარყოფით მოქმედებას. უმეტეს შემთხვევაში ეს სიჩქარის დაკლებას ნიშნავს. იგივე პრინციპი აქვს გზაზე ხელოვნურად შექმნილ ბორცვებს.

ამგვარად, კარგი რჩევაა სიჩქარის დაგდება, კურსის გამოსწორება და ყურადღების აუცილებელზე გამახვილება იმ დროს, როდესაც არახელსაყრელ პირობებთან გვაქვს საქმე.

თანამედროვე ცხოვრების ტემპი

ეს არის მარტივი, მაგრამ ძალზედ მნიშვნელოვანი გაკვეთილი. შეიძლება ეს ლოგიკურად მოგეჩვენოთ, როდესაც საქმე ეხება ხეებს ან ტურბულენციას, მაგრამ საოცარია ის, თუ რაოდენ ადვილია ამ გაკვეთილის უგულებელყოფა, როცა საქმე ეხება ამ პრინციპების ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებას. როცა სტრესის დონე მატულობს, როცა გვიჩნდება მწუხარება ან ტრაგედია დაგვატყდება თავს, ძალიან ხშირად ჩვენ ვცდილობთ იგივე გაშმაგებული ტემპი შევინარჩუნოთ ან კიდევ უფრო მოვუმატოთ ტემპს და გვწამს, რომ რაც უფრო სწრაფია ცხოვრების რითმი, მით უფრო კარგად ვიქნებით ჩვენ.

თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ჩვენ, ტურბულენციისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, თითქოს და სულ მუდამ მზარდი ტემპით ვმოძრაობთ.

მოდით ვიყოთ გულწრფელნი: საკმაოდ ადვილია იყო დაკავებული. ყოველივე ჩვენთაგანს შეუძლია ჩამოთვალოს დავალებათა ის სია, რომელიც ჩვენს განრიგს გადაფარავს. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ მათ ღირებულებას განსაზღვრავს მათ მიერ აუცილებლად გასაკეთებელ საქმეთა ნუსხის სიგრძე. ისინი დატბორავენ განრიგის თავისუფალ დროს შეხვედრებითა და უმნიშვნელო საქმეებით თუნდაც სტრესისა და გადაღლილობის დროს. რადგან ისინი აუცილებლობის გარეშე ართულებენ საკუთარ ცხოვრებას, მათ ხშირად ეუფლებათ ზედმეტი იმედგაცრუება, ნაკლებ სიხარულს განიცდიან და საკუთარი ცხოვრების უაზრობის წინაშე დგებიან.

ამბობენ, რომ ნებისმიერი სათნოება, როდესაც იგი ზედმეტად გადაჭარბებულია, ბოროტებაში გადადის. და როდესაც ჩვენს განრიგს ზედმეტად გადავტვირთავთ, ზუსტად ამ განმარტებას ვექვემდებარებით. ასეთნაირად დაგვიდგება დრო, როდესაც გზის კილომეტრების მაჩვენებელი ბოძები დოლაბებად გადაიქცევიან, ამბიციები კი კისერზე დაკიდებულ მძიმე ტვირთად.

რაშია გადაწყვეტა?

გონიერთ ესმით და იყენებენ კიდეც ხის წლიური წრეებისა და ტურბულენციის გაკვეთილებს. ისინი ეწინააღმდეგებიან ცდუნებას ჩაებან ყოველდღიური ცხოვრების გაშმაგებულ ტემპში. ასეთი ადამიანები მიჰყვებიან რჩევას: „ცხოვრება გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სიჩქარის გაზრდა.”[1] მოკლედ რომ ვთქვათ, ყურადღებას ისინი მხოლოდ იმას აქცევენ, რაც მეტად მნიშვნელოვანია მათთვის.

უხუცესმა დალინ ჰ.ოუქსმა, ბოლო კონფერენციაზე, გვასწავლა: „ჩვენ უნდა დავთმოთ ზოგირამ, თუნდაც კარგი, რათა ავირჩიოთ უკეთესი ან საუკეთესო, რადგან ამით ვითარდება იესო ქრისტეს მიმართ რწმენა და ძლიერდება ჩვენი ოჯახები.”[2]

საუკეთესოს ძიებას უთუოდ მივყევართ იესო ქრისტეს სახარების ძირითად პრინციპებთან — უბრალო და მშვენიერი ჭეშმარიტება, რომელიც გაცხადებულ იქნა მზრუნავ, მარადიულ, ყოვლის მცოდნე მამა ზეციერისაგან. ეს ძირითადი სწავლებანი და პრინციპები, მარტივი იმდენად, რომ ბავშვისთვისაც კი მისაწვდომია, უზრუნველყოფენ ყოველგვარ ურთულეს კითხვების პასუხს.

ჩვენ ზოგჯერ არ ვაფასებთ იმ სილამაზესა და სიცხადეს, რომლებიც სიმარტივეს მოჰყვებიან, რადგან გვწადია რთული გადაწყვეტილებანი.

მაგალითად, იმის შემდეგ, რაც ასტრონავტებმა და კოსმონავტებმა შემოუფრინეს დედამიწას, ისინი მალევე მიხვდნენ, რომ კალმები კოსმოსში არ მუშაობდნენ. ასე რომ ჭკვიანი ხალხი შეუდგა ამ პრობლემის გადაჭრას. ათასობით საათი და მილიონობით დოლარი დაიხარჯა, მაგრამ საბოლოოდ მათ გამოიგონეს კალამი, რომელიც ივარგებდა ყველგან, ყოველ ტემპერატურაზე, და თითქმის ნებისმიერ ზედაპირზე. მაგრამ რას შვრებოდნენ კოსმონავტები და ასტრონავტები ვიდრე ეს პრობლემა მოგვარდებოდა? ისინი უბრალოდ ფანქარს ხმარობდნენ.

ლეონარდო და ვინჩის ხშირად ციტირებენ როგორც ადამიანს, რომელსაც ეკუთვნის შემდეგი გამონათქვამი: „ყველაფერი მარტივი გენიალურია.[3] როდესაც ჩვენ ვუცქერთ ბედნიერების გეგმის, ხსნის გეგმის ძირითად პრინციპებს, ჩვენ შეგვიძლია გამოვიცნოთ და დავაფასოთ მამა ზეციერის

სიბრძნის სილამაზე მის სიმარტივესა და მოხდენილობაში, და ამის გამო ვიყოთ მადლიერნი მისდამი. შემდეგ, სიბრძნის გზაზე დასამკვიდრებლად ჩვენ, ჩვენი ცხოვრება ისე უნდა შევცვალოთ, როგორც ეს მას სურს.

საფუძვლების ძალა

ამბობენ, რომ ამერიკული ფეხბურთის ლეგენდარული მწვრთნელი ვინჩე ლომბარდის ჰქონდა პირადი რიტუალი, რომელსაც ვარჯიშის პირველივე დღეს ატარებდა. ვინჩე დაიჭერდა ბურთს, უჩვენებდა მათ, ვინც მრავალი წლის განმავლობაში იყო დაკავებული სპორტით, და ამბობდა; „ბატონებო, *ეს* ბურთია". იგი საუბრობდა მის ზომასა და ფორმაზე, იმაზე, თუ როგორ შეიძლება მისი ფეხით აგდება, მინდორზე ტარება ან გადაცემა. იგი წაიყვანდა გუნდს თავისუფალ მოედანზე და ეუბნებოდა მათ: „ეს ამერიკული ფეხბურთის მოედანია." იგი მათ მინდორს მოატარებდა, აუხსნიდა მის ზომებს, ფორმას, თამაშის წესებს და იმას, თუ როგორ უნდა ეთამაშათ ფეხბურთი.[4]

ამ მწვრთვნელმა იცოდა, რომ ეს გამოცდილი მოთამაშეებიცა და თვითონ გუნდიც, მხოლოდ საფუძვლების დაოსტატებით გახდებოდნენ დიდებულნი. მათ შეეძლოთ ევარჯიშათ რთულ ილეთებზე, მაგრამ, სანამ ისინი საფუძვლების ოსტატები არ გახდებოდნენ, ისინი ჩემპიონთა გუნდი ვერ გახდებოდნენ.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენს შორის უმეტესობა ინტუიციით ხვდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საფუძვლები. უბრალოდ ზოგჯერ ჩვენ ყურადღება გვეფანტება იმდენ რამეზე, რაც უფრო მომხიბლავია ჩვენთვის.

ნაბეჭდი მასალა, მედიას სხვადასხვა წყარო, ელექტრონული საშუალებები და მოწყობილობანი შესაძლოა იქცნენ მტკივნეული გადახრებისა ან ადამიანთა იზოლაციის, კაცთმოძულეობის საშუალებად.

და მაინც, უამრავ ხმათა და არჩევანთა შორის, დგას მოლოდინში ხელებ გაშლილი მორჩილი გალილეველი. მისი მოწოდება მარტივია: „მოდი და გამომყევი".[5] და იგი ძლიერ მიკროფონში კი არ ლაპარაკობს, არამედ ოდნავი ჩქამით.[6] ამგვარად სახარების ძირითადი გზავნილი შეიძლება, რომ ძალიან ადვილად დაიკარგოს ინფორმაციის იმ ზღვაში, რომელიც გვიტევს ყოველი მხრიდან.

წმინდა წერილები და ცოცხალ წინასწარმეტყველთა სიტყვები ხაზს უსვამენ სახარების ფუნდამენტალურ პრინციპებსა და სწავლებებს. მიზანი, რომლის გამოც ჩვენ ვუბრუნდებით ამ ფუნდამენტალურ პრინციპებს, წმინდა სწავლებას, გახლავთ ის, რომ ისინი წარმოადგენენ უზენაესი ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ კარს. ეს პრინციპები ის კარიბჭეა, რომლის მიღმაც ჩვენ განვიცდით მის უზენაეს მნიშვნელობას, რომელიც სხვაგვარად ჩვენი ცნობიერების მიღმა აღმოჩნდებოდა. ეს უბრალო, ძირითადი პრინციპები წარმოადგენენ ღმერთთან და ადამიანებთან ჰარმონიული ცხოვრების გასაღებს. ისინი ცის საქანელთა გასაღებებია. ჩვენ მათ მშვიდობისა და სიხარულისკენ მივყავართ და იმ შეგრძნებამდე, რომელიც მამაზეციერი დაპირდა თავის იმ შვილებს, რომლებიც უსმენენ და ემორჩილებიან მას.

ჩემო ძვირფასო დებო და ძმებო, კარგი იქნებოდა თუკი ცოტაოდენ შევანელებდით ტემპს, ჩვენი საჭიროების შესაბამისად შეგვერჩია ოპტიმალური სიჩქარე, ყურადღება მიგვეტანა მნიშვნელოვანზე, ზემოთ აგვეხედა და ჭეშმარიტად დაგვენახა ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. მოდით ნუ დავივიწყებთ იმ ძირითად მცნებებს, რომლებიც მამა ზეციერმა თავის შვილებს მისცა; ისინი მდიდარი და ნაყოფიერი მიწიერი ცხოვრების საფუძვლად გადაიქცევიან მარადიული ბედნიერების დაპირებით. ისინი გვასწავლიან ყველაფრის კეთებას „ბრძნულად და თანმიმდევრობით, რამეთუ ჩვენ არ მოგვეთხოვება ვირბინოთ იმაზე სწრაფად, რაც ჩვენს ძალებს აღემატება. მაგრამ საჭიროა ვიყოთ ბეჯითნი, რათა მივიღოთ ჯილდო."[7]

დებო და ძმებო, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმის ბეჯითად კეთებას ჩვენ სამყაროს მაცხოვართან მივყევართ. აი რატომ ვსაუბრობთ ჩვენ ქრისტეზე, ჩვენ ვხარობთ ქრისტეში, ვქადაგებთ ქრისტეზე და ვწინასწარმეტყველობთ ქრისტეზე, რათა ვიცოდეთ, თუ რა წყაროს მივმართოთ ჩვენი ცოდვების მისატევებლად.[8] ეს „თანამედროვე ცხოვრების სირთულისა, გაურკვევლობის და აჩქარებული ტემპის „უფრო აღმატებული გზაა".[9]

ასე რომ,- რა არის საფუძვლები?

როდესაც ჩვენ მივმართავთ მამა ზეციერს და ვეძებთ მის სიბრძნეს იმ საკითხებში, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ ისევ და ისევ ვსწავლობთ ურთიერთობის ოთხ მნიშვნელოვან საკითხს: ურთიერთობა ღმერთთან, ოჯახთან, მოყვასთან და საკუთარ თავთან. როდესაც ჩვენ გულწრფელად ვაფასებთ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენ დავინახავთ, თუ სად ავცდით უფრო აღმატებულ გზას. ჩვენ აზროვნების თვალები აგვეხილება და მივხვდებით, თუ რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ განვიწმინდოთ ჩვენი გულები და ცხოვრების ახალი მიზანი ავირჩიოთ.

უპირველეს ყოვლისა, ღმერთთან ჩვენი ურთიერთობა ყველაზე წმინდა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩვენ მისი სულიერი შვილები ვართ. იგი მამაა ჩვენი. მას სწადია ჩვენი ბედნიერება. როდესაც ჩვენ ვეძებთ მას, როდესაც ვსწავლობთ მისი ძის, იესო ქრისტეს შესახებ, როდესაც ჩვენ ვუღებთ გულებს სულიწმინდის ზეგავლენას, ჩვენი ცხოვრება უფრო მყარი და უსაფრთხო ხდება. ჩვენ ვაღწევთ უფრო მეტ სიმშვიდეს, სიხარულსა და მიღწევებს, როდესაც ჩვენ ვცდილობთ საუკეთესოდ ვიცხოვროთ ღმერთის მარადიული გეგმის თანახმად და ვიცავთ მის მცნებებს.

ჩვენ მამაზეციერთან ურთიერთობას ვაუმჯობესებთ მაშინ, როდესაც ჩვენ შევიმეცნებთ მას, ვსაუბრობთ მასთან, ვინანიებთ ცოდვებს და ვართ ქრისტეს აქტიური მიმდევრები, რამეთუ „მამასთან ვერავინ მივა" ქრისტეს გარეშე.[10]. ღმერთთან ჩვენი ურთიერთობის განსამტკიცებლად ჩვენ გვჭირდება მნიშვნელოვანი დრო მასთან განმარტოებით ურთიერთობაში. ჩვენი ყოველდღიური პირადი ლოცვებისა და წმინდა წერილების შესწავლაზე ფოკუსირებით, ყოველთვის მიზანსწრაფულნი ვიყოთ ღირსნი ტაძრის ამჟამინდელი რეკომენდაციისა, რითაც მამაზეციერთან დაახლოვებისათვის ბრძნულად გამოვიყენებთ ჩვენს დროსა და ძალისხმევებს. მოდით ყურადღება მივაქციოთ ფსალმუნის რჩევას: „შეჩერდით და გაიგეთ, რომ მე ვარ ღმერთი."[11]

ჩვენი მეორე ძირითადი ურთიერთობა, ოჯახთან ურთიერთობაა. რადგან „ვერც ერთი ოჯახისმიღმიერი მიღწევა ვერ გადაფარავს წარუმატებლობას ოჯახში"[12] ჩვენ უნდა მივანიჭოთ ოჯახს უმაღლესი პრიორიტეტი. ჩვენ ვაშენებთ ღრმა და მოსიყვარულე ოჯახურ ურთიერთობებს იმით, რომ ერთად ვაკეთებთ უბრალო საქმეებსაც, მაგალითად, ვამზადებთ საოჯახო სადილს, ან ვატარებთ საოჯახო საღამოს, ან უბრალოდ ვმხიარულობთ. როდესაც საქმე ოჯახს ეხება, სიტყვა *სიყვარული* ნიშნავს *დროს,* ანუ ამ სიტყვის უკან დგას სიტყვა „დრო". სახლში ჰარმონიის დამყარების გასაღები ერთმანეთისათვის დროის დათმობაშია. ერთმანეთზე საუბარს სჯობია ერთმანეთთან საუბარი. ჩვენ ერთმანეთისაგან ვსწავლობთ, ვაფასებთ როგორც ჩვენს საერთო თვისებებს, ასევე იმას, რითიც განვსხვავდებით. ჩვენ ერთმანეთთან ღვთაებრივ კავშირს ვამყარებთ მაშინ, როდესაც ერთობლივი ოჯახური ლოცვით, სახარების შესწავლით და საკვირაო წირვით ვუახლოვდებით ღმერთს.

მესამე ძირითადი ურთიერთობა მოყვასთან ურთიერთობაა. ჩვენ ვქმნით ამ ურთიერთობას ყოველ ადამიანთან სათითაოდ, როდესაც სხვების მიერ გამოვხატავთ გულის ტკივილს, ვუწევთ მსახურებას, ვუთმობთ ჩვენს დროსა და ნიჭიერებას. ჩემზე მეტად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ერთმა დამ, რომელიც დამძიმებული იყო სნეულებითა და ასაკით, მაგრამ მან გადაწყვიტა: მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რაიმეს გაკეთება არ შემიძლია, მოსმენას ხომ მაინც შევძლებ. ასე რომ ყოველ კვირას იგი ეძებდა აღელვებულ ან სევდიან ადამიანებს და უსმენდა მათ გულისტკივილს. რაოდენ დიდ მადლს წარმოადგენდა იგი ამდენი ადამიანისათვის ამ ცხოვრებაში!

მეოთხე ძირითადი ურთიერთობა საკუთარ თავთან ურთიერთობაა. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ საკუთარ თავთან ურთიერთობა, მაგრამ ასეთი ურთიერთობა რეალურია. ზოგიერთი ადამიანი ვერ ურიგდება საკუთარ თავს. ისინი აკრიტიკებენ და ამცირებენ საკუთარი თავის მნიშვნელობას მთელი დღის განმავლობაში, ვიდრე საბოლოოდ არ შეიძულებენ საკუთარ თავს. ნება მომეცით რჩევა მოგცეთ: შეამცირეთ ტემპი და ცოტა მეტი დრო

დაუთმეთ საკუთარი თავის შეცნობას. გადით ბუნებაში, იხილეთ ალიონი, დატკბით ღვთის ქმნილებებით, იფიქრეთ აღდგენილი სახარების ჭეშმარიტებაზე და გაარკვიეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას პირადად თქვენთვის. ისწავლეთ შეხედოთ საკუთარ თავს ღვთის თვალებით, ვინაიდან ღმერთისათვის თქვენ ღვთაებრივი პოტენციალის მქონე უძვირფასესი ძენი და ასულნი ხართ.

გაიხარეთ წმინდა სახარებაში

ძმებო და დებო, მოდით ვიყოთ გონიერნი. მოდით მივუბრუნდეთ იესო ქრისტეს აღდგენილი სახარების მოძღვრების წმინდა წყალს. მოდით სიხარულით მივიღოთ ეს წყალი მასში არსებული მთელი მისი სიმარტივით. ზეცა კვლავაც გახსნილია. იესო ქრისტეს სახარება კიდევ ერთხელაა დედამიწაზე, და მისი მარტივი ჭეშმარიტებანი სიხარულის უხვი წყაროა.

ძმებო და დებო, ჩვენ სიხარულისათვის მართლაც დიდი მიზეზი გაგვაჩნია. თუ ცხოვრებამ თავისი ჩქარი ტემპითა და უამრავი სტრესით გაართულა თქვენთვის სიხარულის შეგრძნება, მაშინ ალბათ მოვიდა დრო ყურადღება გადაიტანოთ იმაზე, რაც მეტად მნიშვნელოვანია.

ძალა არა შფოთვის შედეგად, არამედ სინათლისა და ჭეშმარიტების მყარ საფუძველზე დგომით მოდის. ეს ხდება მაშინ, როდესაც ჩვენი ყურადღება და მცდელობები მიმართულია იესო ქრისტეს აღდგენილი სახარების საფუძვლებისაკენ. ეს ხდება მაშინ, როდესაც ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ ღვთაებრივს, რასაც სხვა რამეზე მეტი მნიშვნელობა აქვს.

მოდით ცოტა გავამარტივოთ ჩვენი ცხოვრება. მოდით შემოვიტანოთ ცვლილებები, რომლებიც ესოდენ აუცილებელია იმისათვის, რომ შეგვეძლოს ყურადღების გადატანა ქრისტიანობაში მორჩილების, მარტივი მოწაფეობის უზენაეს სილამაზეზე, გზაზე, რომელსაც ყოველთვის მივყევართ საზრიანობით, სიხარულითა და მშვიდობით აღვსილი სიცოცხლისაკენ. მე ვლოცულობ ამაზე იესო ქრისტეს წმინდა სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. მაჰათმა განდი, Larry Chang, *Wisdom for the Soul* (2006), გვ.356.
2. დალინ ჰ. ოუქსი, "Good, Better, Best," *Liahona,* ნოემბერი 2007, გვ.107.
3. ლეონარდო და ვინჩი, John Cook-ს ნაკრებიდან, *The Book of Positive Quotations,* მე-2 გამოცემა (1993), გვ.262.
4. ვინჩე ლომბარდი, Donald T. Phillips, *Run to Win: Vince Lombardi on Coaching and Leadership* (2001), გვ.92.
5. ლუკა 18:22.
6. იხილეთ 3 მეფეთა 19:12.
7. მოსია 4:27.
8. 2 ნეფი 25:26.
9. 1 კორინთელთა 12:31; ეთერი 12:11.
10. იოანე 14:6.
11. ფსალმუნი 45:11.
12. J. E. McCulloch, *Home: The Savior of Civilization* (1924), 42; ასევე იხილეთ Conference Report, აპრილი 1935, გვ.116

© 2010 Intellectual Reserve, Inc.-ს მიერ ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი *Visiting Teaching Message, November 2010.* Georgian. 09371 131